

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

## დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის სახელმიწოდო პოლიტიკა



**დევნილთა საცხოვრებლით  
უზრუნველყოფის  
სახელმწიფო კოლეგია**

თბილისი  
2014

კვლევა მომზადებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) მიერ დაფინანსებული პროექტის – „დევნილობასთან და-კავშირებული პრობლემების გრძელვადანი გადაწყვეტის ინოვაციური გზები“ –ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ლტოლვილთა დანიის საბჭოს (DRC) მეშვეობით.

გამოცემაზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მისი შინაარსი არ გამოხატავს დონორის ოფიციალურ პოზიციას.

ავტორი: ნონა ქუჩავაძეიძე

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

გამოცემაზე პასუხისმგებელი: თამარ გვარაშვა  
ნონა ქუჩავაძეიძე



აინტერ და დაკაბადონდა  
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.  
ქ. კახიძის ქ. 15 თბილისი 0102 საქართველო  
(+995 32) 295 23 53, 293 61 01  
ტირაჟი: 200 ც.

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება  
ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი  
ნებართვის გარეშე

# ს ა რჩე ვ ი

რეზიუმე .....	5
შესავალი .....	9
საკითხის აქტუალურობა .....	9
მეთოდოლოგია .....	10
1. სახელმწიფოს ვალდებულებები და სათანადო საცხოვრებელი .....	11
1.1. დაბრუნება, როგორც საუკეთესო გადაწყვეტა .....	11
1.2. სახელმწიფოს ვალდებულება დევნილთა საცხოვრებლით დაკმაყოფილების მიმართულებით ...	13
1.3. საქართველოს კანონმდებლობა სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით .....	14
1.4. დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების ძირითადი მიმართულებები ...	17
1.5. გრძელვადიანი საცხოვრებლით დაკმაყოფილების ფორმები .....	19
2. დევნილთა ხელახალი რეგისტრაცია .....	20
2.1. დევნილთა რეგისტრაცია, როგორც განსახლების პოლიტიკის უკეთ დაგევმვის მქანიზმი .....	21
2.2. რეგისტრაციის შედეგები .....	22
3. პრივატიზაცია .....	25
3.1. პრივატიზაციის პროცესში გამოვლენილი პრობლემები .....	25
3.2. სასამართლო პრეცედენტები პრივატიზაციის ხელშეკრულებების ნაკლოვანებებთან დაკავშირებით .....	28

3.3.	დ.ლ.-ს საქმე	29
4.	დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის ნესი, ცალკეულ ღბუჟტებში საცხოვრებლის განაწილებისას გამოყენებული პრიტერიუმების ანალიზი და გამოვლენილი ხარვეზები	32
4.1.	დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის ნესი ...	32
4.2.	ბათუმი, ბენზეს დასახლება	34
4.3.	ყვარლის ქ. №101	36
4.4.	გლდანი მე-3 მ/რ. „ყოფილი პოლიციის შენობა“	37
4.5.	შესწავლილი ობიექტების შედეგების ჯამური ანალიზი	39
4.6.	ქირა, როგორც კრიტერიუმი	40
4.7.	რეგისტრაციის ადგილი, როგორც კრიტერიუმი	41
4.8.	გასაჩივრების მექანიზმები	41
	შემაჯამებელი დასკვნა და რეკომენდაციები	42
	დანართის დასკვნა	44

## რეზიუმე

2014 წლის ივნისის მდგომარეობით, საქართველოში რეგისტრირებულია 256 843 იძულებით გადაადგილებული პირი, ხოლო დევნილი ოჯახების რიცხვი 84 833-ს შეადგენს. მათგან მხოლოდ 23 420 ოჯახია დაკმაყოფილებული გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით, ხოლო 5 108 ოჯახს საცხოვრებლის შესაძენად მიღებული აქვს ფულადი კომპენსაცია.<sup>1</sup> აღნიშნული ციფრები მეტყველებს, რომ დევნილთა საცხოვრებლით დაკმაყოფილება მომავალ წლებშიც მნიშვნელოვან გამოწვევად დარჩება.

სახელმწიფოს აკისრია სათანადო საცხოვრებლის უფლების განხორციელების ვალდებულება, რომლის თანდათანობით რეალიზება ქვეყნის რესურსებზეა დამოკიდებული. ამასთან, რესურსების ნაკლებობა არ ათავისუფლებს სახელმწიფოს აღნიშნული უფლების რეალიზების მინიმალური ვალდებულებებისგან. სათანადო საცხოვრებლის უფლების აღიარება სახელმწიფოს ავალდებულებს, განახორციელოს ღონისძიებები, რათა უზრუნველყოს აღიარებული უფლების რეალიზება ყველა სათანადო, მათ შორის, საკანონმდებლო საშუალებით.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფის ვალდებულება საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე არაერთი წელია აღიარებული აქვს, კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების გზაზე მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა დევნილთა უფლებრივი და სამართლებრივი მდგომარეობის მარეგულირებელ ახალ კანონში სათანადო საცხოვრებლის განმარტება და დევნილის სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფის ვალდებულების ხაზგასმა.

აღნიშნული ვალდებულების შესასრულებლად არსებითი მნიშვნელობა აქვს დევნილთა საჭიროებების შესწავლას. განსაკუთრებით ეს ეხება ე.წ. „კერძო სექტორში“ მცხოვრებ დევნილებს. ერთ-ერთ სირთულედ, რაც აფერხებდა „კერძო სექტორში“ მცხოვრები დევნილების საჭიროებების კვლევას და მათი განსახლების დაგეგმვას, ძირითადად, მათი ზუსტი ადგილსა-მყოფლის დადგენის შეუძლებლობა სახელდებოდა, ვინაიდან მათი რეგისტრაციისა და ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი, გარკვეულ შემთხვევებში, ერთმანეთს არ ემთხვეოდა. 2013-

<sup>1</sup> წარმოდგენილი მოწოდებები მოწოდებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლოროვილთა სამინისტროს მიერდა ასახავს 2014 წლისაგვისტოს მდგომარეობას;

2014 წლებში დევნილთა ხელახალმა რეგისტრაციაში შესაძლებელი გახდა მათი ფაქტობრივი ადგილსამყოფლის განსაზღვრა და სამინისტროს მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციის განახლება. თუმცა, აღნიშნული ფაქტი, როგორც განსახლების პოლიტიკის უკეთ დაგეგმვის მექანიზმი, ვერ იქნა ეფექტურად გამოყენებული. რეგისტრაციის პროცესი იყო კარგი შესაძლებლობა იმისთვის, რომ სახელმწიფოს შეესწავლა დევნილთა მოლოდინები და საჭიროებები და, მიღებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე, განესაზღვრა მომავალი წლების პოლიტიკა გრძელვადიანი განსახლების მიმართულებით. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ მონოდებული ინფორმაციით, მათ არ აქვთ მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენ ოჯახს აქვს საკუთრებაში საცხოვრებელი ფართი ე.წ. „კერძო სექტორში“ რეგისტრირებულ დევნილთაგან. ასევე, სამინისტრო ვერ უზრუნველყოფს იმის იდენტიფიცირებას, თუ რამდენ ოჯახი იყო რეგისტრირებული ე.წ. „კერძო სექტორში“ იმ დევნილთაგან, რომელიც დაკავშირდებოდა გრძელვადიანი საცხოვრებლით.<sup>2</sup> ამგვარ ვითარებაში, რთულია დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება და გრძელვადიანი განსახლების ალტერნატიული შესაძლებლობების შემუშავება.

გრძელვადიანი საცხოვრებლით დაკმაყოფილების მიმართულებით სახელმწიფო იყენებს ორ ფორმას – საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებას და საცხოვრებლის შესაძენად ფულადი კომპენსაციის გადახდას. საცხოვრებლით დაკმაყოფილება, თავის მხრივ, მოიცავს რამდენიმე შესაძლებლობას: ყოფილი კომპაქტურად განსახლების ობიექტების დევნილთათვის საკუთრებაში გადაცემას (პრივატიზება); ახლად რეაბილიტირებულ ან აშენებულ საცხოვრებელ კორპუსში ბინით დაკმაყოფილებას; დევნილი ოჯახისათვის ინდივიდუალური სახლების შეძენას რეგიონებში. ამ დროისათვის გრძელვადიანი საცხოვრებლით დაკმაყოფილების დიდი წილი, სწორედ პრივატიზაციაზე მოდის.

სახელმწიფოს გადაწყვეტილება, მოხედინა მის საკუთრებაში არსებული ქონების დევნილთათვის გადაცემა, თავისთავად პოზიტიურად უნდა შეფასდეს, თუმცა, აღნიშნულ პროცესში

<sup>2</sup> იხ. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2014 წლის 26 აგვისტოს წერილი #06-06/20808 (დანართი #1);

გამოვლენილმა ნაკლოვანებებმა, პროცესში ჩართული მხარეების არაკონტრდინირებულმა მოქმედებებმა პრივატიზაციის პროცესი გარკვეულწილად არაეფექტური გახადა. 1) პრივატიზაციის საწყის ეტაპზე სახელმწიფოს პქონდა არასწორი ნარმოდგენა, რომ კოლექტიურ ცენტრებში არსებული ფართების დევნილთათვის საკუთრებაში გადაცემა უთანაბრდებოდა სათანადო საცხოვრებლით დაკმაყოფილებას. შედეგად, რიგ შემთხვევებში, დევნილთა საკუთრებაში აღმოჩნდა ქონება, რომელიც სათანადო საცხოვრებლის მინიმალურ სტანდარტებს არ აკმაყოფილებს; 2) პრივატიზაციის დაწყების საწყის ეტაპზევე ერთერთ მთავარ ხარვეზად დასახელდა გადაწყვეტილების მიღებისას დევნილების ინფორმირებულობის ნაკლებობა. დევნილებს არ ჰქონდათ სათანადო ინფორმაცია პრივატიზაციის პროცესის შესახებ, ასევე იმის თაობაზე, თუ რა შედეგები შეიძლებოდა მოპყოლოდა მათი მხრიდან პრივატიზაციაზე უარის თქმას და რა ალტერნატივები განიხილებოდა ასეთ შემთხვევაში მათი გრძელვადიანი საცხოვრებლით დაკმაყოფილებისთვის. ჩნდება კითხვები, რამდენად წებაყოფლობითი იყო პრივატიზაციის პროცესი და ჰქონდათ თუ არა დევნილებს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების რეალური შესაძლებლობა; 3) 2013 წლამდე პრივატიზაციის ხელშეკრულება იდებოდა ოჯახის ერთ წევრთან (ე.წ. „ოჯახის უფროსთან“),<sup>3</sup> შესაბამისად, ფართის მესაკუთრე ხდებოდა დევნილი ოჯახის ერთი წევრი, რომელსაც ეკისრებოდა ოჯახის დანარჩენი წევრების საცხოვრებლით უზრუნველყოფა. ამასთან, იმის განსაზღვრა, ოჯახის რომელი წევრი უზდა მიჩნეულიყო ე.წ. „ოჯახის უფროსად“, არ მოითხოვდა ოჯახის დანარჩენი წევრების წერილობით თანხმობას, რაც წინააღმდეგობაში მოდის კანონმდებლობასთან. 4) პრივატიზაციის პროცესს თან ახლდა ტექნიკური პრობლემები (მაგ. ხელშეკრულებებში არსებული უზუსტობები ფართის ოდენობის, ოჯახის შემადგენლობის შესახებ), საცხოვრებელი ფართების ნუმერაციის არარსებობა, არასრულყოფილი აზომვითი ნახაზები, პროცესში ჩართული უწყებების არაეფექტური თანამშრომლობა, რამაც გამოიწვია ის ნელი ტემპები, რითაც პრივატიზაციის პროცესი ხასიათდება.

სახელმწიფოს გადაწყვეტილება, ფართების განაწილება მოეხდინა წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა, აქვე არსებობს კითხვები, რამდენად ეფექტურია არსებული კრიტერიუმები იმ ოჯახების

<sup>3</sup> მეუღლებს ასევე შეეძლოთ, თანასაკუთრებაში მიეღოთ საცხოვრებელი, თუმცა, ეს შესაძლებლობა თითქმის არავის გამოუყენებია;

იდენტიფიცირებისთვის, რომლებიც უპირატესად საჭიროებენ საცხოვრებლით დაკმაყოფილებას.

კვლევის ფარგლებში შესწავლილ სამ ობიექტზე, ჯამში, კრიტერიუმების მიხედვით, დაკმაყოფილდა 124 ოჯახი. ამათგან, 54 ოჯახს ქულები მიღებული ჰქონდა „საცხოვრებლის კრიტერიუმების“ მიხედვით, დანარჩენ შემთხვევაში, საცხოვრებელი ფართები განაწილდა მხოლოდ „სოციალური კრიტერიუმების“ საფუძველზე. მათ შორის დომინირებდა „დაბალი შემოსავლი“ და „სოციალური მაჩვენებელი“. ასევე აღმოჩნდა, რომ უმრავლეს შემთხვევაში, როდესაც ოჯახს ენიჭება ქულა „დაბალი შემოსავლის“ კრიტერიუმით, ოჯახი ასევე აგროვებს ქულებს „სოციალური მაჩვენებლის“ კრიტერიუმებით. სამი ობიექტის შედეგები გვაფიქრებინებს, რომ კრიტერიუმების საფუძველზე საცხოვრებლის მიღების მეტი შანსი სწორედ იმ ოჯახებს აქვთ, რომლებიც ქულებს „სოციალური კრიტერიუმებით“ აგროვებენ, რაც აჩენს კითხვებს, რამდენად ითვალისწინებს ხსენებული კრიტერიუმებს საცხოვრებლის საჭიროებებს ბინების განაწილების პროცესში.<sup>4</sup>

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს აღნიშნულ პროცესში საქართველოს ოუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ქმედება, რომლითაც აფერხებს გასაჩივრების მექანიზმის გამოყენების შესაძლებლობას. სამინისტრო, როგორც წესი, დროულად არ აგზავნის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ წერილობით გადაწყვეტილებებს ადრესატ დევნილ ოჯახებთან, ან წერილობით გადაწყვეტილებას დევნილ ოჯახს გადასცემს მხოლოდ დევნილი ოჯახის მოთხოვნის შემთხვევაში. ასასანიშნავია ისიც, რომ წერილობით გადაწყვეტილებებში არ მიეთითება გასაჩივრების მექანიზმების შესახებ. სამინისტროს ამგვარი ქმედებების მასშტაბური ხასიათი აჩენს საფუძვლიან ვარაუდს, რომ სამინისტრო შეგნებულად არღვევს აღნიშნულ პროცედურებს, რათა შეამციროს მისივე გადაწყვეტილებების გასაჩივრების ალბათობა. სამინისტროს მიერ არჩეული ეს არასწორი პრაქტიკა მნიშვნელოვან დაბრკოლებებს უქმნის დევნილებს პროცედურული უფლების (გასაჩივრების გზით დაიცვან და აღიდგინონ უფლებები) რეალიზებისას.

კვლევაში განხილული საკითხების ანალიზმა აჩვენა, რომ სხვადასხვა მიმართულებით არსებული ხარვეზები აღნიშნული

<sup>4</sup> იგულისხმება 2014 წლის სექტემბრისათვის მოქმედი რეგულაციები;

პროცესის შემაფერხებლად გვევლინება. ამიტომ მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გადადგას შესაბამისი ნაბიჯები არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.

## შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) 2012 წლიდან ახორციელებს პროექტს – „დევნილობასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტის ინვაციური გზები“, რომელიც დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) მიერ და ხორციელდება ლტოლვილთა დანიის საბჭოს (DRC) მეშვეობით. პროექტის ძირითადი მიზანია დევნილთა სამართლებრივი დახმარების უზრუნველყოფა სხვადასხვა ფორმით. პროექტი მოიცავს დევნილთა სამართლებრივი მდგომარეობის გაანალიზებასაც. პროექტის ფარგლებში 2013 წელს საიამ უკვე გამოაქვეყნა ანგარიში, რომელიც შექებოდა საცხოვრებლის უფლებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზზ.<sup>5</sup> წინამდებარე კვლევა მის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს. სახელმწიფოს მცდელობის მიუხედავად, უზრუნველყოს დევნილი პირები საცხოვრებლით, დევნილთა განსახლება დღესაც ყველაზე აქტუალურ საკითხად რჩება. შევეცადეთ, კვლევაში გაგვეანალიზებინა სახელმწიფო პოლიტიკა დევნილთა საცხოვრებლით დაკმაყოფილების მიმართულებით, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, შევაფასოთ, თუ რამდენად ეფექტური იყო და არის სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები. ამის გააზრება, ასევე, კარგი შესაძლებლობაა შესაბამისი რეკომენდაციების განსასაზღვრად, რაც მომავალში დადგებითად შეიძლება აისახოს ამ მიმართულებით გასატარებელ აქტივობებზე.

## საკითხების აქტუალურობა

იძულებითი გადაადგილება მნიშვნელოვნად ცვლის დევნილი მოსახლეობის ცხოვრებას და ქვეყანას რთული ამოცანების პირისპირ აყენებს. ამგვარი გამოწვევების წინაშე საქართველო 1991 წელს გამოცხადებული დამოუკიდებლობის შემდგომ მალევე აღმოჩნდა, როდესაც ორ რეგიონში – სამხრეთ ოსეთსა

<sup>5</sup> იხ. საიას კვლევბი „დევნილთა უფლება სათანადო საცხოვრებლზე (სამართლებრივი ანალიზი, სასამართლო პრაქტიკის ძირითადი ტენდენციები“, 2013 წელი;

(1991-1992 წლები) და აფხაზეთში (1992-1993 წლები) სეპარატ-ისტული კონფლიქტები დაიწყო, რამაც დაახლოებით 247 000<sup>6</sup> პირი იძულებული გახადა, მიეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და ქვეყნის სხვა ნაწილში გადაადგილებულიყო.

იძულებით გადაადგილებულ პირთა ახალი ტალღა წარმოშვა 2008 წელს რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულმა სამხედრო აგრესიამ, რის შედეგად ცხინვალის რეგიონიდან, აუარისა და გორის მუნიციპალიტეტების სხვადასხვა სოფლიდან, აგრეთვე, ქარელისა და კასპის რაიონებიდან პირველ ეტაპზე მუდმივი საცხოვრებელი ადგილი 130 000-მა პირმა დატოვა. მათმა ნაწილმა მალევე შეძლო მუდმივ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნება, თუმცა, დაახლოებით 25 000-მდე პირი დევნილობაში დარჩა.

2014 წლის ივნისის მდგომარეობით, საქართველოში რეგისტრირებულია 256 843 დევნილი, მათგან 24 641 პირი დევნილია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სულ რეგისტრირებულია 84 833 დევნილი ოჯახი, მათგან საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებულია 23 420 ოჯახი, ხოლო 5 108 ოჯახს საცხოვრებლის შესაძენად მიღებული აქვს ფულადი კომპენსაცია<sup>7</sup>. აღნიშნული ციფრები მეტყველებს იმაზე, რომ დევნილთა საცხოვრებლით დაკმაყოფილება მომავალ წლებშიც მნიშვნელოვან გამოწვევად დარჩება.

## მეთოდოლოგია

სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი ეფუძნება რელევანტური სამართლებრივი მექანიზმების შესწავლას. ასევე, კვლევაზე მუშაობისას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან გამოხსნილ იქნა არაერთი ინფორმაცია. რაც შეეხება პრობლემურ საკითხებს, მათი იდენტიფიცირება განხორციელდა პროექტის ფარგლებში საიას მიერ დევნილი პირებისათვის გაწეული სამართლებრივი დახმარების პროცესში.

<sup>6</sup> მონაცემები მოცემულია 2007 წლის მდგომარეობით;

<sup>7</sup> მონაცემები მოცემულია 2014 წლის აგვისტოს მდგომარეობით;

კვლევაზე მუშაობისას ადგილი არ ჰქონია განსაკუთრებით მნიშვნელოვან სირთულეებს, რაც გააძნელებდა მის მომზადებას, თუმცა, გარკვეულ სიძნეებს უკავშირდებოდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან საჯარო ინფორმაციის გამოთხვა. მიუხედავად იმისა, რომ სამინისტრო უზრუნველყოფდა შესაბამისი ინფორმაციის მოწოდებას, ცალკეულ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა კანონით გათვალისწინებული ვადების დარღვევას ან/და ინფორმაციის არასრულყოფილი სახით წარმოდგენას, რაც დამატებით მიმართვის საჭიროებას წარმოშობდა.

## 1. სახელმწიფო ვალდებულებები და სათანადო საცხოვრებელი

### 1.1. დაპრუნება, როგორც საუკეთესო გადაწყვეტა

სახელმწიფოს პასუხისმგებლობისა და დევნილთა უფლებების განსაზღვრის თვალსაზრისით ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო დოკუმენტს წარმოადგენს გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ (შემდგომში, „პრინციპები“)<sup>8</sup>.

პრინციპები, როგორც ხელისუფლების ორგანოების მოქმედების განმსაზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო, აღიარებულია არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით შექმნილ დოკუმენტებში, ასევე საერთაშორისო დონეზეც. მაგალითად, გაეროს გენერალური ასამბლეის 2012 წლის 12 ივლისის რეზოლუცია – „აფხაზეთიდან, საქართველოსა და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ისეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“, რომელიც საქართველოს მიერ იქნა ინიცირებული, სრულად „აღიარებს სახელმძღვანელო პრინციპებს იძულებით გადაადგილების შესახებ, როგორც უმთავრეს საერთაშორისო ჩარჩოს იძულებით გადაადგილებულ პირთა დასაცავად.“<sup>9</sup>

<sup>8</sup> პრინციპები 1998 წელს იქნა მიღებული და მასთან მიმართებით არსებობს ფართო კონსენსუსი საერთაშორისო დონეზე. პრინციპები საერთაშორისო სამართალში ეწ. „რბოლ სამართალს“ (soft law) წარმოადგენს. რაც თავის არსით, მშოჭავი სამართლისაგან განსხვავებით, არ არის სახელმწიფოსათვის სავალდებულო, თუმცა, მასში თავმოყრილია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამრთლისა და ჰქონის ტარული სამართლის ნორმები და შეესაბამება მათ;

<sup>9</sup> 2012 წლის 12 ივლისის რეზოლუცია # A/RES/66/283, პრემბულა, პუნქტი 3;

დევნილთა პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტისა და ამ პროცესში სახელმწიფოს როლის შესახებ ძირითადი კონცეფცია მოცემულია 28-ე - 30-ე პრინციპებში.

28-ე პრინციპის მიხედვით, რომელიც, ასევე, დაკავშირებულია საცხოვრებლის უფლებასთან, ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოების უპირველესი მოვალეობა და პასუხისმგებლობაა, შექმნან პირობები და უზრუნველყონ ყველა საშუალება, რაც შესაძლებლობას მისცემს იძულებით გადაადგილებულ პირებს, დაბრუნდნენ თავიანთი ნებით, უსაფრთხოდ და ღრძესულად საკუთარ სახლებსა ან საცხოვრებელ ადგილებში, ან ნებაყოფლობით განსახლდნენ ქვეყნის სხვა ნაწილებში.

აღნიშნული პრინციპი დევნილთა პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტის სამ გზას გვთავაზობს:

- მუდმივ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნებას;
- ადგილობრივ ინტეგრაციას;
- განსახლებას ქვეყნის სხვა ნაწილში.

მიიჩნევა, რომ გრძელვადიანი გადაწყვეტა „მაშინ არის მიღწეული, როდესაც იძულებით გადაადგილებულ პირებს აღარ სჭირდებათ ადგილმონაცვლეობასთან დაკავშირებული კონკრეტული დახმარება და დაცვის საშუალებები და ასეთ ადამიანებს შეუძლიათ ისარგებლონ ადამიანის უფლებებით, იძულებით გადაადგილების ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე“.<sup>10</sup> სათანადო საცხოვრებელი სტანდარტების არსებობა წარმოადგენს ერთერთ კრიტერიუმს, რომლითაც ფასდება, თუ რამდენად არის მიღწეული გრძელვადიანი გადაწყვეტილებები.

მუდმივ საცხოვრებელ ადგილას დევნილთა ნებაყოფლობითი დაბრუნება განიხილება, როგორც გრძელვადიანი გადაწყვეტის ყველაზე საუკეთესო გზა, თუმცა, მისი რეალიზება ხშირად დამოკიდებულია არა მხოლოდ დევნილის სურვილსა ან სახელმწიფოს მიერ ამ გზის უალტერნატივოდ მიჩნევაზე, არამედ ობიექტურ გარემოებებზე, რაც შესაძლოა აძნელებდეს ან შეუძლებელს ხდიდეს დაბრუნებას.

<sup>10</sup> უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომიტეტის სქემა იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტის შესახებ“, ბრუკინგის ინსტიტუტი - ბერნის უნივერსიტეტი პროექტი იძულებითი გადაადგილების შესახებ, გვ. 5, 2010 წ.

## 1.2. სახელმწიფოს ვალდებულება დევნილთა საცხოვრებლით დაკმაყოფილების მიმართულებით

სახელმწიფოს აკისრია სათანადო საცხოვრებლის უფლების განხორციელების ვალდებულება, რომლის თანდათანობითი რეალიზება ქვეყნის რესურსებზეა დამოკიდებული. ამასთან, რესურსების ნაკლებობა არ ათავისუფლებს სახელმწიფოს აღნიშნული უფლების რეალიზების მინიმალური ვალდებულებისგან. სათანადო საცხოვრებლის უფლების აღიარება სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, განახორციელოს ლონისძიებები, რათა უზრუნველყოს აღიარებული უფლების რეალიზება ყველა სათანადო, მათ შორის, საკანონმდებლო საშუალებით. საცხოვრებლის უფლება არ გულისხმობს მხოლოდ თავშესაფრით უზრუნველყოფას და მასში განიხილება [...] როგორც ნებისმიერ ადგილას უსაფრთხო, მშვიდობიან და ლირ-სეულ პირობებში ცხოვრების უფლება [...].<sup>11</sup>

გამომდინარე იქიდან, რომ იძულებითი გადაადგილება ქვეყნის შიგნით ხდება, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, დევნილები არ ექცევიან რაიმე სტატუსის ქვეშ და რჩებიან საკუთარი ქვეყნის მზრუნველობის ფარგლებში. სწორედ ამიტომ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს და დაიცვას იძულებით გადაადგილებული პირების უფლებები, შექმნას შესაბამისი მექანიზმები, რაც შესაძლებლობას მისცემს ყველა დევნილს, ისარგებლოს საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ინსტრუმენტებით აღიარებული უფლებებითა და თავისუფლებებით, მათ შორის, უფლებით სათანადო საცხოვრებელზე.

სათანადო საცხოვრებლის უფლების შესახებ გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტმა (შემდგომში კომიტეტი) 1991 წელს გამოსცა მე-4 ზოგადი კომენტარი, სადაც განმარტებულია, თუ როგორ უნდა იყოს გაგებული პაქტის 11(1) მუხლით დაცული საცხოვრებლის უფლება. ზოგად კომენტარში კომიტეტმა გამიჯნა „საცხოვრებელი“ და „სათანადო საცხოვრებელი“ და აღნიშნა, რომ: [...] საცხოვრებლის უფლება არ უნდა იყოს განხილული ვიწრო ან შეზღუდული გაგებით, რაც მას, მაგალითად, თავშესაფრით უზრუნველყოფასთან გაათანაბრებდა [...] და [...] იგი განხილულ უნდა იქნეს, როგორც ნებისმიერ ადგილას უსაფრთხო, მშვიდობიან და ლირ-სეულ პირობებში ცხოვრების უფლება [...]. კომიტეტმა აღნიშნა,

<sup>11</sup> სათანადო საცხოვრებლის უფლების შესახებ გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის მე-4 ზოგადი კომენტარი, მე-7 პუნქტი;

რომ ტერმინი „საცხოვრებელი“ – უნდა ითვალისწინებდეს სხვა შინაარსსაც, კერძოდ: ამ უფლების უზრუნველყოფას ყველა ადამიანისათვის, მისი შემოსავლისა თუ ეკონომიკურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის მიუხედავად. ამასთან, იგი გაგებული უნდა იყოს არა მხოლოდ საცხოვრებლის, არამედ სათანადო საცხოვრებლის კონტექსტში. [...] სათანადო საცხოვრებელი ნიშნავს... ცალკე ბინას, (ცხოვრებისათვის სათანადო ფართობს, სათანადო უსაფრთხოებას, სათანადო განათებასა და ვენტილაციას, სათანადო ძირითად ინფრასტრუქტურას და სათანადო ადგილმდებარეობას შრომისა და ძირითადი მომსახურებების თვალსაზრისით [...].“

ამდენად, სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყოს დევნილი საცხოვრებლით, მხოლოდ სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფის კონტექსტში უნდა განიხილებოდეს.

### 1.3. საქართველოს კანონმდებლობა სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით

2014 წლის მარტიდან საქართველოში მოქმედებს ახალი კანონი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“, რომელშიც პირველად გაჩნდა სათანადო საცხოვრებლის<sup>12</sup> და გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის<sup>13</sup> ცნებები და ჩანწერა, რომ სახელმწიფო ვალდებულია, უსახლკაროდ დარჩენილი დევნილი უზრუნველყოს სათანადო საცხოვრებლით.<sup>14</sup>

<sup>12</sup> „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ნ“ პუნქტის თანახმად, საანადო საცხოვრებლით მიიჩნევა „დევნილისათვის საკუთრებასა ან მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემული საცხოვრებელი, სადაც უზრუნველყოფილია ღირსეული ცხოვრებისათვის აუცილებელი პირობები, მათ შორის, უსაფრთხოებისა და სანიტარიული თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელი პირობები და ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა“;

<sup>13</sup> ამავე კანონის მე-4 მუხლის „ო“ პუნქტის თანახმად, დევნილის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა განიმარტება, როგორც „დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით მისთვის სახელმწიფო ან ადგილობრივი ორგანიზაციების, ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ საცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემა, ან სანაცვლოდ მისი სათანადო ფულადი ან სხვა სახის დახმარებით უზრუნველყოფა“;

<sup>14</sup> იქვე, მე-13 მუხლი, მე-2 პუნქტი;

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სათანადო საცხოვრებელი განმარტებულია, როგორც „დევნილისათვის საკუთრებასა ან მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემული საცხოვრებელი, სადაც უზრუნველყოფილია ღირსეული ცხოვრებისათვის აუცილებელი პირობები, მათ შორის, უსაფრთხოებისა და სანიტარიული თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელი პირობები და ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა“.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფის ვალდებულება საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე არაერთი წელია აღიარებული აქვს, კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების გზაზე მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა დევნილთა უფლებრივი და სამართლებრივი მდგომარეობის მარეგულირებელ ახალ კანონში სათანადო საცხოვრებლის განმარტება და დევნილის სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფის ვალდებულების ხაზგასმა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სათანადო საცხოვრებლით დაკავშირდების ვალდებულების შიდა მექანიზმებში ასახვის პირველი მცდელობა 2009 წლიდან დაიწყო, როდესაც დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის სამეთვალყურეო საბჭომ (შემდგომში „სამეთვალყურეო საბჭო“) 2009 წელს შეიმუშავა დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის სტანდარტები, რომელიც განიხილა და ცნობად მიიღო საქართველოს მთავრობამ 2009 წლის 30 ოქტომბრის №35 საბომაზე.

სტანდარტები, სამოქმედო გეგმის თანახმად, ამოსავალ დოკუმენტად არის მიჩნეული გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფისას, კოლექტიური ცენტრებისა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ცარიელი შენობების რეაბილიტაციისას, ასევე, მრავალსართულიანი სახლების აშენებისას. აღნიშნული დოკუმენტით დადგენილია მინიმალური ფართის ოდენობა ოჯახის წევრების რაოდენობის შესაბამისად და განსაზღვრულა, თუ რა ტიპის სარემონტო სამუშაოები უნდა განხორციელდეს შენობაში. 2013 წელს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სტანდარტები ასევე აისახა „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესში“.

გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით, საცხოვრებელი ფართის სტანდარტები, დევნილი ოჯახის წევრთა რიცხოვნობის გათვალისწინებით, ასეთია:

		შენიშვნა	
პარამეტრი	ერთეული	მინიმალური სტანდარტი ახლად პუნქტული და ცარიელი შენობებისთვის	საცხოვრისებულ ფართში ოთახების რაოდენობა
საცხოვრისებული ფართი	$\text{მ}^2$	25 - 35 $\text{მ}^2$ თითოეულ გინგი	ერთოთახიანი პინა
საცხოვრისებული ფართი	$\text{მ}^2$	40 - 45 $\text{მ}^2$ 50 - 60 $\text{მ}^2$	ორითახანი პინა
			სამოთახანი პინა
			5-6 მოსახლე

ამდენად, ოჯახის წევრთა რიცხოვნობის გათვალისწინებით დადგენილი მინიმალური სტანდარტი და კანონში მოცემული სა-თანადო საცხოვრებლის განმარტება, რომელიც საერთაშორისო დონეზე დამკვიდრებული სათანადო საცხოვრებლის ასპექტების ელემენტებს მოიცავს, განსაზღვრავს იმ ჩარჩოს, რომლის ფარ-გლებშიც სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს დევნილი ოჯახი საცხოვრებლით.

#### 1.4. დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების ძირითადი მიმართულებები

საქართველოში დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის მიღებამდე (2007 წ.) სახელმწიფოს დეკლარირებული პოლიტიკა მხოლოდ დევნილთა დაბრუნებაზე იყო ორიენტირებული. ამი-ტომ დევნილობის საწყის ეტაპზე სახელმწიფო ცდილობდა, უზ-რუნველეყო დევნილთა დროებით თავშესაფრებში განსახლე-ბა მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნებამდე. ამ მიზნით გამოყენებული იყო სხვადასხვა დანიშნულების ქეონე შენობები, მაგალითად, საბავშვო ბაღები, სასტუმროები, პროფ-სასწავლებლები და სხვა შენობები, რომლებიც არ იყო გან-კუთვნილი საცხოვრებლად და, ხშირ შემთხვევაში, არ აქმაყო-ფილებდა სათანადო საცხოვრებლის მინიმალურ სტანდარტებს. დევნილთა ამგვარი ტიპის შენობებში განსახლებისას სახელმ-წიფო იმედოვნებდა, რომ ეს პროცესი სწრაფად დასრულდე-ბოდა და დევნილები მაღლევე შეძლებდნენ დაბრუნებას მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში. 2007 წელს დევნილთა მიმართ სახ-ელმწიფო სტრატეგიის მიღებით სახელმწიფომ გაიაზრა, რომ მუდმივ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნება, როგორც გრძელ-ვადიანი გადაწყვეტის საუკეთესო გზა, არ გამორიცხავს დევნი-ლობის ადგილებში დევნილთა ინტეგრაციისა და მათი შესაძლე-ბლობების გაძლიერებას. ამიტომ სტრატეგია დაეფუძნა ორ მთავარ მიზანს:

- პირობების შექმნას დევნილთა ღირსეულად და უს-აფრთხოდ დაბრუნებისათვის;
- დევნილი მოსახლეობისათვის ღირსეულად ცხოვრების პირობების მხარდაჭერას და მათ ჩაბმას საზოგადოე-ბრივ ცხოვრებაში.

დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის მიღების დროის-ათვის (2007 წელი), ქვეყნის მასშტაბით დაახლოებით 1600 კომ-პაქტურად განსახლების ობიექტი იყო, რომელშიც ჯამში დევნი-ლი მოსახლეობის 45% იყო განსახლებული, ხოლო დანარჩენი

55% ცხოვრობდა ე.ნ. „კერძო სექტორში“ (ნათესავების, მეგობრების ოჯახებში, ნაქირავებ ფართობში, შეძენილ ბინებში და სხვა).

დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიაში პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა დევნილთა ნებაყოფლობითი და ლირსეული განსახლების გრძელვადიანი გადაწყვეტა, მათი სახელმწიფოზე დამოკიდებულების შემცირება და უკიდურესად გაჭირვებული დევნილების ერთიან სოციალურ პროგრამაში მოქცევა. სტრატეგიის მიღების შემდგომ, 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დევნილების ახალი ტალღის გაჩენაშ განაპირობა სახელმწიფო სტრატეგიაში ცვლილებების შეტანა, რომლითაც 2008 წლის ომის შედეგად დევნილებთან მიმართებით სახელმწიფოს მიდგომა ჩამოყალიბდა. ქვეყნის ნინაშე არსებულმა ახალმა გამოწვევებმა შეაფერესა სტრატეგიის შესაბამისად სამოქმედო გეგმის მიღების პროცესი. საპოლოო სტრატეგიის დამტკიცების შემდგომ პირველი სამოქმედო გეგმა მიღებულ იქნა 2009 წელს.

2009 წელს დამტკიცებული სამოქმედო გეგმა მოიცავდა 2009-2012 წლებს, ხოლო 2012 წლის 13 ივნისს მიღებულ იქნა ახალი განკარგულება (№1162), რომლითაც დამტკიცდა 2012-2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანები იდენტური იყო და, ძირითადად, ითვალისწინებდა ადეკვატური გრძელვადიანი განსახლებისა და ინტეგრაციის სხვადასხვა ღონისძიებას.

2014 წლის 30 აპრილს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია (2014-2020 წლებისათვის)“, რომელშიც, ასევე, საუბარია დევნილთა უფლებების დაცვის მიზნით განსახორციელებელ ამოცანებზე. ეროვნულ სტრატეგიაში დევნილთა უფლებების დაცვის მიმართულებით სახელმწიფოს მიზნად დასახელებულია დევნილთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი ადეკვატური საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა და საზოგადოებაში რეინტეგრაცია; აგრეთვე, იძულებით გადაადგილებულ პირთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე დასაბრუნებლად ყველა შესაძლო ზომის მიღება, მათ შორის, ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ინსტრუმენტების გამოყენებით.<sup>15</sup>

<sup>15</sup> კვლევის საგანს არ წარმოადგენს სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი დამტკიცებასთან დაკავშირებით, საერთაშორისო ინსტრუმენტების გამოყენების და მასი ეფექტურობის თვალსაზრისით;

## 1.5. გრძელვადიანი საცხოვრებლით დაკმაყოფილების ფორმები

დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიხედვით, სახელმწიფო დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით დასაკმაყოფილებლად მიმართავს ორ ფორმას: საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება და საცხოვრებლის შესაძენად ფულადი კომპენსაციის გადახდა.

საცხოვრებლით დაკმაყოფილება, თავის მხრივ, მოიცავს რამ-დენიმე შესაძლებლობას:

- კომპაქტურად განსახლების ყოფილი ობიექტების დევნილთათვის საკუთრებაში გადაცემას (პრივატიზაცია);
- ახლად რეაბილიტირებულ ან აშენებულ საცხოვრებელ კონპუსში ბინით დაკმაყოფილებას;
- დევნილი ოჯახისათვის ინდივიდუალური სახლების შეძენას რეგიონებში.

კომპაქტურად განსახლების ყოფილი ობიექტების დევნილთათვის საკუთრებაში გადაცემა, თავის მხრივ, დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, პირველ რიგში კი, სახელმწიფოს გადაწყვეტილებაზე, მიიჩნევს თუ არა ის რომელიმე ასეთ ობიექტს სტრატეგიულად მნიშვნელოვნად. ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფო არ ახდენს ამგვარ ობიექტებში მცხოვრები დევნილებისათვის საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემას და მათ სხვა ალტერნატიული საცხოვრებელი უნდა შესთავაზოს. გარდა სტრატეგიულ ობიექტად მიჩნევისა, სამოქმედო გეგმის თანახმად, არის სხვა შემთხვევებიც, როდესაც კომპაქტურად განსახლების ყოფილი ობიექტი მასში მცხოვრებ დევნილებს საკუთრებაში არ გადაეცემათ. ეს ის შემთხვევებია, როდესაც ობიექტები არ ექვემდებარება რეაბილიტაციას, ან შეუძლებელია საცხოვრებლად მოერყოს, ან მისი საცხოვრებელ ბინებად გარდაქმნა განსახლების სხვა ალტერნატივებთან შედარებით საგრძნობლად ძვირია, ან წარმოადგენს კერძო საკუთრებას. თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც კომპაქტურად განსახლების ყოფილი ობიექტი კერძო საკუთრებას წარმოადგენს, სამოქმედო გეგმა ასევე ითვალისწინებს შესაძლებლობას, სახელმწიფოს მიერ მოხდეს კერძო მესაკუთრისგან ამგვარი ობიექტის გამოსყიდვა შემდგომში დევნილთათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ კერძო საკუთრებაში არსებული კომპაქტურად განსახლების ობიექტის გამოსყიდვა 2009-2012 წლებ-

ში საერთოდ არ მომხდარა. ამ მიმართულებით მხოლოდ 2013 წელს განხორციელდა გარკვეული აქტივობები, როდესაც დაბა წყნეთსა და ობილისძი გამოსყიდულ იქნა 5 ობიექტი, რომლის ღირებულებამ ჯამში 1 916 640,5 აშშ დოლარი შეადგინა. გამოსყიდულ ობიექტებში 202 ოჯახი ცხოვრობს, თუმცა, 2014 წლის აგვისტოს მონაცემებით, არც ერთ მათგანს საცხოვრებელი ფართები საკუთრებაში გადაცემული არ აქვს. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ინფორმაციით, ამ დროისათვის მიმდინარეობს საცხოვრებელი ფართების სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრაციის პროცესი, რომლის დასრულების შემდგომ განხორციელდება საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემა. ეს ფაქტი კიდევ ერთი მაგალითად იმისა, რომ პრივატიზაციის პროცესი მნიშვნელოვნად ნელი ტემპით ხორციელდება.

რაც შეეხება სამოქმედო გეგმის კიდევ ერთ მიმართულებას, ალტერნატივის სახით დევნილთათვის ინდივიდუალური სახლების შეძენას, 2013 წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან 30 ოჯახისათვის მოხდა საცხოვრებელი სახლების შესყიდვა. სახლების შეძენა განხორციელდა მხოლოდ რეგიონებში (ქვემო ქართლში – 17, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 7, იმერეთში – 3, რაჭა-ლეჩხუმში – 1, შიდა ქართლში – 2) და მათში გადახდილმა თანხამ ჯამში 260 000 აშშ დოლარი შეადგინა. ამდენად, ინდივიდუალური სახლების შესყიდვა მისი მცირე მასშტაბებიდან გამომდინარე, გრძელვადიანი საცხოვრებლით დაკმაყოფილების მნიშვნელოვან შესაძლებლობად ვერ ჩაითვლება.

## 2. დევნილთა ხელახალი რეგისტრაცია

### 2.1. დევნილთა რეგისტრაცია, როგორც განსახლების პოლიტიკის უკეთ დაგეგმვის მექანიზმი

სამოქმედო გეგმა, საწყის ეტაპზე, კომპაქტური განსახლების ობიექტებში მცხოვრებ დევნილებზე იყო ორიენტირებული, თუმცა, შემდგომ ეტაპზე ე.წ. „კერძო სექტორში“ მცხოვრები დევნილების განსახლების ღონისძიებების დაწყება იგეგმებოდა. 2009 წელს მიღებულ სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთ ღონისძიებად მითითებული იყო კერძო სექტორში მცხოვრები დევნილების აღწერის მეთოდოლოგიის შემუშავება, რასაც უნდა უზრუნველყო მომავალში გრძელვადიანი განსახლების პრიორიტეტულობის განსასაზღვრად „კერძო სექტორში“ მცხოვრები

დევნილების აღწერა და, გრძელვადიან განსახლებასთან დაკავშირებით, მათი საჭიროებების ანალიზი.<sup>16</sup> თუმცა, აღნიშნული სამოქმედო გეგმის მოქმედების პერიოდში მსგავსი აქტივობა არ განხორციელებულა. თუ არ ჩავთვლით სხვადასხვა ორგანიზაციის მხრიდან „კერძო სექტორში“ მცხოვრები დევნილების საჭიროების კვლევის ფალკეულ შემთხვევებს, „კერძო სექტორში“ მცხოვრები დევნილების საჭიროების შესახებ სახელმწიფოს დღემდე მნირი ინფორმაცია აქვს.

ერთ-ერთ სირთულედ, რაც აფერხებდა, „კერძო სექტორში“ მცხოვრები დევნილების საჭიროების კვლევას და მათი განსახლების დაგეგმვას, მათი ზუსტი ადგილსამყოფლის დადგენის შეუძლებლობა სახელდებოდა, რადგან მათი რეგისტრაციისა და ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი, გარკვეულ შემთხვევებში, ერთმანეთს არ ემთხვეოდა. სამინისტროს მონაცემთა ბაზა, სადაც აღირიცხება დევნილთა შესახებ მონაცემები, მათ შორის რეგისტრაციის ადგილის შესახებ, ძირითადად, ეყრდნობოდა 2007 წელს ჩატარებულ დევნილთა საყოველთაო რეგისტრაციის მონაცემებს და არ იყო გახახლებული.

2012 წლის 28 დეკემბერს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლებითა მინისტრმა მიიღო ბრძანება №170, რომლითაც შეიქმნა კერძო განსახლების ობიექტებში მცხოვრებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა საკითხების შემსწავლელი დროებით კომისია და დამტკიცდა მისი საქმიანობის წესი.

კომისიის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა „კერძო სექტორში“ მცხოვრები დევნილების აღრიცხვის, მათი ფაქტობრივი ადგილსამყოფლის დადგენის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვა.

საბოლოოდ, სამინისტროს მიერ აღნიშნული პრობლემის მოგვარების საშუალებად დევნილთა ხელახალი რეგისტრაცია დასახელდა.

დევნილთა რეგისტრაციის განხორციელების ვადად თავდაპირველად 2013 წლის 1 აგვისტოდან 27 დეკემბრამდე პერიოდი განისაზღვრა. მოგვიანებით, ვადა ორჯერ გაგრძელდა: პირველად –

<sup>16</sup> საქართველოს მთავრობის 2009 წლის 28 მაისის N403 განკარგულება, დანართი N2 „იძულებით გადადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების საერთო შეფასება“, 2.1.1.1. პუნქტი;

2014 წლის 1 მარტამდე, ხოლო შემდგომ – 2014 წლის 15 აპრილი-დან 1 ოქტომბერისამდე.

დევნილთა ხელახალი რეგისტრაციის მიზნად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ასახელებდა დევნილთა შესახებ არსებული ინფორმაციის განახლებას და საჭირო ცვლილებების განხორციელებას საცხოვრებელ ადგილთან, ოჯახის წევრთა რაოდენობასთან, ზოგად აღწერასა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. ერთი მხრივ, სამინისტრო მოელოდა, რომ დევნილთა ხელახალი რეგისტრაციის დასრულების შემდგომ ექნებოდა ამ უკანასკნელთა ზუსტი რიცხვი, მეორე მხრივ კი, რეგისტრაციის ჩატარებას სამინისტრო მოიაზრებდა დევნილთა განსახლების პოლიტიკის უკეთ დაგეგმვის მექანიზმად, რადგან აღნიშნულ პროცესს უკავშირებდა იმ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას, რომელიც დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით სტრატეგიული გადაწყვეტილებების იდენტიფიცირების საშუალებას მისცემდა.<sup>17</sup> დასახელებული მიზნების მისაღწევად, შემუშავდა ანკეტის (კითხვარი) ფორმა,<sup>18</sup> რომელიც ივსებოდა რეგისტრაციის პროცესში, სიტყვიერი გასაუბრების საფუძველზე. მასში ასახული მონაცემები ეყრდნობოდა დევნილთა მიერ ზეპირად მიზოდებულ ინფორმაციას და რაიმე ფორმით მისი გადამოწმება არ ხდებოდა.

## 2.2. რეგისტრაციის შედეგები

რეგისტრაციის დაწყებამდე, სამინისტროს მონაცემებით, სულ ფიქსირდებოდა 271 832 დევნილი.

2014 წლის ივნისის მონაცემებით, დევნილთა ხელახალი რეგისტრაცია გაიარა 256 843-მა დევნილმა, რაც დაახლოებით 15 000-ით ნაკლებია დევნილთა იმ რიცხვთან შედარებით, რაც

<sup>17</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2013 წლის ანგარიში, გვ.13 (ხელმისაწვდომია ბმულზე - <http://mra.gov.ge/geo/static/825>)

<sup>18</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის #287 ბრძანება „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა ცნობის, დევნილის სტატუსის მინიჭების და დევნილთა რეგისტრაციის წესის, იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის მოწმისის ფორმის, მოწმობის შესახებ დებულებისა და ანკეტის ფორმის დამტკიცების თაობაზე“, დანართი #4;


რეგისტრაციამდე პერიოდში სამინისტროს მონაცემთა ბაზაში ფიქსირდებოდა.


რეგისტრაციის დაწყებამდე დაფიქსირებული იყო 87 227 ოჯახი, რეგისტრაციის დასრულების შემდგომ კი დევნილი ოჯახების რიცხვმა 84 833 შეადგინა.

რეგისტრირებულ დევნილთაგან, 2014 წლის ივნისის მდგომარეობით, დევნილთა სხვადასხვა ჩასახლებაში რეგისტრირებულია 119 637 დევნილი, ხოლო კერძო მისამართებზე („კერძო სექტორი“) – 137 705 დევნილი. რეგისტრაციის პროცესში, რეგისტრაციისა და ფაქტობრივ მისამართებს შორის სხვაობა გამოვლინდა 83 445 დევნილის შემთხვევაში.

### კერძო მისამართებზე რეგისტრირებულ დევნილთა მიერ მიწოდებული ინფორმაცია

■ რაოდენობა





რეგისტრაციის დროს 8 000-ზე მეტმა დევნილმა განაცხადა, რომ არის სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, ხოლო 2500-ზე მეტი დევნილი, მათივე ინფორმაციით, არის არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრე. იმ პირთაგან, რომლებმაც განაცხადეს, რომ ფლობენ სასოფლო ან/და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწებს, გრძელვა-დიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებულია 4000-ზე მეტი დევნილი.

რომ შევაჯამოთ, დევნილთა ხელახალი რეგისტრაცია მნიშვნელოვანიპროცესიყო, რამაც შესაძლებელი გახადა დევნილთა ფაქტობრივია ადგილსამყოფლის განსაზღვრა და დევნილთა შესახებ სამინისტროს მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციის განახლება. დევნილთა რეგისტრაცია საკმაოდ ძვირადღირებულ პროგრამას წარმოადგენდა (დაიხარჯა 1 232 498.70 ლარი), თუმცა ის, როგორც განსახლების პოლიტიკის უკეთ დაგეგმვის მექანიზმი, ეფექტურად ვერ იყო გამოყენებული. გრძელვადიანი განსახლების მექანიზმების შესამუშავებლად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ პროცესში დევნილთა ჩართულობას. რეგისტრაციის პროცესი იყო კარგი შესაძლებლობა,

რათა სახელმწიფოს უკეთ შეესწავლა დევნილთა მოლოდინები და საჭიროებები და, მიღებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე, განესაზღვრა მომავალი წლების პოლიტიკა გრძელვადიანი განსახლების მიმართულებით. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ მოწყოდებული ინფორმაციით, მათ არ გააჩნიათ მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენ ოჯახს აქვს საკუთრებაში საცხოვრებელი ფართი ე.წ. „კერძო სექტორში“ რეგისტრირებულ დევნილთაგან. ასევე, სამინისტრო ვერ ახდენს იმის იდენტიფიცირებას, თუ რამდენი ოჯახი იყო რეგისტრირებული ე.წ. „კერძო სექტორში“ იმ დევნილთაგან, რომლებიც დაკმაყოფილდნენ გრძელვადიანი საცხოვრებლით.<sup>19</sup> ამგვარ ვითარებაში, როლია დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება და გრძელვადიანი განსახლების აღტერნატიული შესაძლებლობების შემუშავება.

### 3. პრივატიზაცია

#### 3.1. პრივატიზაციის პროცესში გამოვლენილი პრობლემები

სახელმწიფო დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით დაკმაყოფილების მოსაგვარებლად პირველ ეტაპზე აქცენტი კომპაქტურად განსახლების ობიექტებში მცხოვრებ დევნილებზე გააკეთა და მათ შესაძლებლობა მისცა, საკუთრებაში მიეღოთ ის ფართები, სადაც ცხოვრობდნენ. ამგვარი გადაწყვეტილება ნაკარნახევი იყო სახელმწიფოს მოლოდინით, რომ სამოქმედო გეგმის საწყის ეტაპზე მის საკუთრებაში უკვე არსებული შენობების გადაცემით შეძლებდა დევნილი მოსახლეობის თითქმის ნახევრის საცხოვრებლით დაკმაყოფილებას, რაც გაცილებით ნაკლებ დანახახაჯებს მოითხოვდა, ვიდრე ე.წ. „კერძო სექტორში“ მცხოვრები დევნილების საცხოვრებლით უზრუნველყოფა.

პრივატიზაციის პროცესი გაცხადებულად დაეფუძნა ნებაყოფლობითობის და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების პრინციპებს, რაც იმას ნიშნავდა, რომ დევნილს თვითონ უნდა გადაეწყვიტა, სურდა კომპაქტურ ცენტრში არსებული საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში მიღება, თუ ერჩივნა, დალოდებოდა

<sup>19</sup> იბ. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2014 წლის 26 აგვისტოს წერილი #06-06/20808 (დანართი #2);

გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების სხვა ალტერნატივას.

სახელმწიფოს გადაწყვეტილება, დევნილთათვის საკუთრებაში გადაეცა მათ მფლობელობაში არსებული ქონება, თავისთავად პოზიტიურად უნდა შეფასდეს, თუმცა, აღნიშნულ პროცესში გამოვლენილმა ნაკლოვნებებმა, პროცესში ჩართული მხარეების არაკონკრეტულმა მოქმედებებმა და კანონის დარღვევის შემთხვევებმა პრივატიზაციის პროცესი გარკვეულწილად არაეფექტური გახდა.

- პრივატიზაციის საწყის ეტაპზე სახელმწიფოს ჰქონდა არასწორი წარმოდგენა, რომ კოლექტიურ ცენტრებში არსებული საცხოვრებელი ფართების დევნილთათვის საკუთრებაში გადაცემა უთანაბრდებოდა სათანადო საცხოვრებლით დაკმაყოფილებას. შედეგად, რიგ შემთხვევებში, დევნილთა საკუთრებაში აღმოჩნდა ქონება, რომელიც სათანადო საცხოვრებლის მინიმალურ სტანდარტებს არ აკმაყოფილებდა;
- პრივატიზაციის საწყის ეტაპზევე ერთ-ერთ მთავარ ხარვეზია დასახელდა გადაწყვეტილების მიღებისას დევნილთა არასათანადო ინფორმირებულობა. დევნილებს არ ჰქონდათ სათანადო ინფორმაცია პრივატიზაციის პროცესის შესახებ, ასევე იმის თაობაზე, თუ რა შედეგები შეიძლებოდა მოპყოლოდა მათი მხრიდან პრივატიზაციაზე უარის თქმას და რა ალტერნატივები განიხილებოდა ასეთ შემთხვევაში მათი გრძელვადიანი საცხოვრებლით დასაკმაყოფილებლად. შედეგად, ჩნდება კითხვები, რამდენად ნებაყოფლობითი იყო პრივატიზაციის პროცესი და ჰქონდათ თუ არა დევნილებს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების რეალური შესაძლებლობა;
- 2013 წლამდე პრივატიზაციის ხელშეკრულება იდებოდა ოჯახის ერთ წევრთან (ე.წ. „ოჯახის უფროსთან“).<sup>20</sup> შესაბამისად, ფართის მესაკუთრე ხდებოდა დევნილი ოჯახის ერთი წევრი, რომელსაც ეკისრებოდა ოჯახის დანარჩენი წევრების საცხოვრებლით უზრუნველყოფა. ამასთან, იმის განსაზღვრა, თუ რომელი წევრი უნდა მიჩნეულიყო ე.წ. „ოჯახის უფროსად“, არ მოითხოვდა ოჯახის დანარჩენი წევრების წერილობით თანხმობას,

<sup>20</sup> მეუღლებს ასევე შეეძლოთ, თანასაკუთრებაში მიეღოთ საცხოვრებელი, თუმცა, ეს შესაძლებლობა თითქმის არავის გამოუყენებია;

- რაც ეწინააღმდეგება კანონმდებლობას. პრივატიზაციის პროცესში დევნილთა ერთი ნაწილი, ე.წ. „ოჯახის უფროსები“, აღმოჩნდნენ ქონების მესაკუთრები, ხოლო ოჯახის დანარჩენ წევრებს საცხოვრებელი ფართები საკუთრებაში არ მიუღიათ. მართალია, ხელშეკრულებები შეიცავდა პირობებს, რომლითაც ოჯახის არამესაკუთრების წევრების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პირობები იყო განსაზღვრული, თუმცა, სრულად და ეფექტურად ვერ იცავდა მათ უფლებებს. ხელშეკრულების ნიმუში შეიცვალა 2013 წელს. ახალი ხელშეკრულებით, საცხოვრებელი ფართი საკუთრებაში გადაეცემა ოჯახის ყველა სრულწლოვან წევრს. თუმცა, ეს ვერ აღმოფხვრის იმ პრობლემებს, რომლებიც 2013 წლამდე დადებული ხელშეკრულებების შემთხვევებში დაფიქსირდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ 2014 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, პრივატიზაციის ხელშეკრულებების 80%-ზე მეტი სწორედ 2013 წლამდეა დადებული;
- პრივატიზაციის პროცესს თან ახლდა ტექნიკური პრიბლემები (მაგ. ხელშეკრულებებში არსებული უზუსტობები ფართის ოდენობის, ოჯახის შემადგენლობის შესახებ), საცხოვრებელი ფართების ნუმერაციის არასებობა, არასრულყოფილი აზომვითი ნახაზები, პროცესში ჩართული უწყებების არაეფექტური თანამშრომლობა, რამაც პრივატიზაციის პროცესის ტემპები შეანელა. აღსანიშნავია, რომ 2014 წლის აპრილის მონაცემებით, პრივატიზაციის შესახებ ხელშეკრულება დადებული იყო 17 598 ოჯახთან, ამათგან სსიპ საჯარო რეესტრში ხელშეკრულება დარეგისტრირებული იყო (რაც საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემის საბოლოო ეტაპია) მხოლოდ 16 328 შემთხვევაში.

წლების მიხედვით, საცხოვრებელი ფართის გადაცემის და მისი საჯარო რეესტრში აღრიცხვის მაჩვენებელი ამგვარია:<sup>21</sup>

წელი	საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება (ოჯახი) <sup>22</sup>	საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემა (ოჯახი) <sup>23</sup>
2009	8527	
2010	4332	6646
2011	2676	478

<sup>21</sup> ცხრილში ასახულია მონაცემები 2014 წლის აპრილის მდგომარეობით;

2012	353	8255
2013	1546	949
2014	164	0
ჯამი	17598	16328

### 3.2. სასამართლო პრეცედენტები პრივატიზაციის ხელშეკრულებების ნაკლოვანებებთან დაკავშირებით

2013-2014 წლებში საია საადვოკატო დახმარებას ახორციელებდა სამ საქმეზე, სადაც დევნილები დავობდნენ პრივატიზაციის (ნასყიდობის) ხელშეკრულებების გამო და ამტკიცებდნენ, რომ ოჯახის გაერთიანება მოხდა ხელოვნურად, ასევე, პრივატიზაციის ხელშეკრულებები დაიდო მათი თანხმობის გარეშე. სამივე შემთხვევაში, საქმე ძეგეხბოდა 2013 წლამდე დადებულ ხელშეკრულებებს, როდესაც მას ხელს აწერდა ოჯახის ერთი წევრი ისე, რომ არ ხდებოდა ხელშეკრულებაში ოჯახის წევრებად მითითებული სხვა პირების მიერ აღნიშნულზე წერილობითი თანხმობა.

კანონმდებლობის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც იდება ადმინისტრაციული ხელშეკრულება (პრივატიზაციასთან დაკავშირებული ნასყიდობის ხელშეკრულება კი, სწორედ ასეთ ხელშეკრულებას წარმოადგენს), რომელიც ზღუდავს მესამე პირის უფლებებს ან აკისრებს მას რაიმე ვალდებულებას, ხელშეკრულება ძალაში შეიძლება შევიდეს მხოლოდ მესამე პირის მიერ წერილობითი თანხმობის წარდგენის შემდეგ.<sup>24</sup>

2013 წლამდე დადებულ პრივატიზაციის ხელშეკრულებებს ხელს აწერდა ოჯახის ერთი წევრი, ხოლო დანარჩენი ოჯახის წევრები წარმოადგენ მესამე პირებს. შესაბამისად, მათ ნაწილში ხელშეკრულებები ძალაში შეიძლებოდა შესულიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულის შესახებ თანხმობა წერილობით ექნებოდათ გაცხადებული. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ამგვარი წერილობითი თანხმობები 2013 წლამდე დადებული

<sup>22</sup> იგულისხმება შემთხვევები, როდესაც მიღებულია გადაწყვეტილება და დადგებულია ხელშეკრულება საცხოვრებლის დევნილთა საკუთრებაში გადაცემის თაობაზე;

<sup>23</sup> იგულისხმება შემთხვევები, როდესაც საცხოვრებლის დევნილთა საკუთრებაში გადაცემა რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ საგენტოში;

<sup>24</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 67-ე მუხლი;

პრივატიზაციის ხელშეკრულებების ხელმოწერისას არ არსებობდა.

ხელშეკრულების 2.4. პუნქტში ნათქვამი იყო, რომ ხელშეკრულების დადების მომენტიდან მყიდველი და ხელშეკრულებაში მითითებული ოჯახის წევრები არ იქნებოდნენ უფლებამოსილნი, მოეთხოვათ სახელმწიფოსა ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისაგან რაიმე სახის კომპენსაცია ან უძრავი ქონება. აღნიშნულ პუნქტზე დაყრდნობით, მოსარჩელე მხარეები ამტკიცებდნენ, რომ ხელშეკრულება ზღუდავდა მათ უფლებებს და მომავალში უკარგავდა შესაძლებლობას, საცხოვრებელი ფართი მოეთხოვათ სახელმწიფოსგან. ამდენად, ასეთი ხელშეკრულების დადება შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ მათი წერილობითი თანხმობით.

აღნიშნულ დავებში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო აცხადებდა, რომ ოჯახის წევრების თანხმობები საჭირო არ იყო, რადგან ხელშეკრულებები იდებოდა მათი, ანუ მესამე პირების სასარგებლოდ, არ ზღუდავდა მათ უფლებებს და, პირიქით, ანიჭებდა უფლებას, ეცხოვრათ ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემულ საცხოვრებელ ფართებში. ამდენად, სასამართლოს სამივე საქმეზე მოუწია იმის განმარტება, თუ რამდენად იყო დაცული კანონის ნორმები პრივატიზაციის ხელშეკრულებების დადებისას. სამივე შემთხვევაში, სასამართლო მიიჩნია, რომ დარღვეული იყო კანონის მოთხოვნები, მოსარჩელეთა ნაწილთან მიმართებით ბათილად ცნო ნასყიდობის ხელშეკრულება და პრეზიდენტის განკარგულება, რომლის საფუძველზეც პრივატიზაციის ხელშეკრულება დაიდო. სასამართლო განმარტებების საილუსტრაციოდ ქვემოთ მოცემულია ერთ-ერთი საქმე.

### 3.3. დ.ლ-ს საქმე

დ.ლ. მეუღლესა და ორ არასრულწლოვან შვილთან ერთად წლების განმავლობაში ცხოვრობდა რუსეთის ფედერაციაში. იგი ოჯახთან ერთად საქართველოში 2011 წელს დაბრუნდა, მას შემდეგ, რაც მისი ოჯახი დეპორტირებულ იქნა რუსეთის ფედერაციიდან. საქართველოში დაბრუნების შემდგომ მისი ოჯახი დაქირავებულ ბინაში ცხოვრობდა.

2013 წელს მან მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა

და ლტოლვილთა სამინისტროს და საცხოვრებლით დაკმაყოფილება მოითხოვა. სამინისტროდან განცხადებაზე საპასუხო წერილით ეცნობა, რომ მის ოჯახს უკვე დაკანონებული ჰქონდა და საცხოვრებელი ფართი, ამიტომ სამინისტრომ უარი უთხრა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. როგორც აღმოჩნდა, დ.ღ. მის არასრულწლოვან შვილებთან ერთად ფიგურირებდა პრივატიზაციის იმ ხელშეკრულებაში, რომელიც მის მამასთან 2010 წელს (მაშინ, როდესაც დ.ღ. საქართველოში არ იმყოფებოდა) დაიდო. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, თბილისში მდებარე ერთ-ერთ კოლექტიურ ცენტრში საცხოვრებელი ფართი, რომელიც შეადგენდა 23.06 კვ.მ-ს, საკუთრებაში გადაეცა დ.ღ.-ს მამას და, ამავე ხელშეკრულების საფუძველზე, საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებულად ჩაითვალა ჯამში 7 ადამიანი (მათ შორის დ.ღ., მისი არასრულწლოვანი შვილები და მეუღლე).

დ.ღ. დავობდა იმის გამო, რომ იგი მეუღლესთან და შვილებთან ერთად მრავალი წლის განმავლობაში დამოუკიდებელ ოჯახად ცხოვრობდა, ამიტომ უკანონოდ მიიჩნევდა მამის ოჯახთან გაერთიანებას. იგი ასევე აცხადებდა, რომ ხელშეკრულების დადებისას მისთვის არავის უკითხავს, სურდა თუ არა ვრძელვადიან საცხოვრებლად იმ ფართის მიღება, რომელიც ხელშეკრულებით განისაზღვრა. იგი ამტკიცებდა, რომ აღნიშნული ხელშეკრულებით ერთმეოდა უფლება, სახელმწიფოსგან მოეთხოვა სათანადო საცხოვრებელი. ამდენად, ხელშეკრულების იმ ნაწილის ძალაში შესასვლელად, რომელიც მას უკავშირდებოდა, აუცილებელი იყო მისი წერილობითი თანხმობა, რაც მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა. დ.ღ. ასევე მიუთითებდა, რომ ხელშეკრულებით გადაცემული ქონება არ აკმაყოფილებდა სათანადო საცხოვრებლის მინიმალურ სტანდარტებს. ამიტომ იგი მოითხოვდა, მისი და მისი შვილების ნაწილში, პრივატიზაციის ხელშეკრულებისა და პრეზიდენტის იმ განკარგულების ბათილად ცნობას, რომლის საფუძველზეც აღნიშნული ხელშეკრულება დაიდო.

პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გაიზიარა დ.ღ.-ს არგუმენტები და მისი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება და სრულად დააკმაყოფილა დ.ღ.-ს მოთხოვნები.

სასამართლომ განმარტა, რომ „ვინაიდან, ხელშეკრულების მიხედვით, ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ დ.ღ. არ არის უფლებამოსილი, მოითხოვოს სახელმწიფოსგან ან თვითმმართ-

ველობის ერთეულისაგან ან სხვა პირისაგან რამე სახის კომპენსაცია ან უძრავი ქონების საკუთრებაში ან სარგებლობაში გადაცემა, მისი დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, შესაბამისად, იზღუდება მისი უფლება, როგორც დევნილმა, მიიღოს საცხოვრებელი ფართი [...] შესაბამისად, სადაცო ხელშეკრულება, როგორც უფლებაშემზღვდულები, დ.ლ.-ს და მისი არასრულწლოვანი შვილების ნაწილში არ არის იურიდიული ძალის მქონე იმდენად, რამდენადაც არ არსებობს მის დადებაზე მესამე პირთა სავალდებულო წერილობითი თანხმობა.“ სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ დ.ლ.-ს არ ეცნობა ხელშეკრულების დადებამდე მის შესახებ და არ მიეცა საშუალება, საკუთარი მოსაზრება წარედგინა, რაც ასევე ეწინააღმდეგებოდა კანონმდებლობას.<sup>25</sup>

ამავე საქმეში სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა, თუ რამდენად აქმაყოფილებდა ხელშეკრულებით გადაცემული ფართი სათანადო საცხოვრებლის მინიმალურ სტანდარტებს და განმარტა, რომ „სახელმწიფო დევნილთათვის ადეკვატურ საცხოვრებლად მიიჩნევს მხოლოდ ისეთ ფართს, რომელიც დადგენილ სტანდარტებს შეესაბამება.“ მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ განმარტა, რომ 6-სულიანი ოჯახისათვის გადაცემული 23.06 კვ.მ არ შეიძლება მიჩნეულიყო სათანადო საცხოვრებლის მინიმალური სტანდარტების შესაბამისად.<sup>26</sup>

<sup>25</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე #38/559-14 (გადაწყვეტილება ამ დროისათვის არ არის შესული კანონიერ ძალში, მოპასუხე მხარის მიერ გასაჩივრებულია უზენას სასამართლოში);

<sup>26</sup> მინიმალური სტანდარტის განსაზღვრისას, სასამართლომ მიუთითა ხელშეკრულების დადგისას მოქმედ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 მაისის #575 განკარგულებაზე, რომლითაც ცვლილებები შევიდა „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 28 მაისის #403 განკარგულებაში. ცვლილებებით, სამოქმედო გეგმაში აღინიშნა, რომ „რებილიტაციის სტანდარტები, რომლებიც დამტკიცა სამეთვალყურეო საბჭომ 2009 წლის 17 სექტემბერს და შემდეგ საქართველოს მთავრობამ ცნობად მიიღო 2009 წლის 30 ოქტომბერს, არის ამოსავალი დოკუმენტი გრძელვადიანი საცხოვრებელით უზრუნველყოფისას, ისევე, როგორც კოლეგიური ცენტრებისა და მიტვებული შენობების რეაბილიტაციისას, ასევე ახალი მრავლისართულიანი საცხოვრებელით 6-სულიანი ოჯახისათვის მინიმალურ სტანდარტად მიიჩნევა 50-60 კვ.მ.

**4. დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის  
ნესი, ცალკეულ რგივთიპში საცხოვრებლის  
განაცილებისას გამოყენებული პრიტერიუმის  
ანალიზი და გამოვლენილი ხარვეზები**

**4.1. დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის ნესი**

2013 წლის 9 აგვისტოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა გამოსცა №320 ბრძანება, რომ-ლითაც განისაზღვრა დევნილთა საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილების წესი და პროცედურები. დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, უნდა მოხდეს დევნილი ოჯახებისათვის საცხოვრებელი ფართების განაწილება, როგორც ახლად აშენებული შენობების, ასევე რეაბილიტირებული თუ სხვა საცხოვრებელი ბინების და სახლების შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ მანამდე მსგავსი რეგულაცია არ არსებობდა, რაც პროცესის ობიექტურობის შესახებ კითხვებს აჩენდა. შესაბამისად, სახელმწიფოს გადაწყვეტილება, რომ ფართების განაწილება მოხედინა წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, დადგებითად უნდა შეფასდეს. თუმცა, აქვე არსებობს კითხვები, რამდენად ეფექტურია არსებული კრიტერიუმები იმ ოჯახების იდენტიფიცირებისათვის, რომლებიც უპირატესად საჭიროებენ განსახლებას.

კრიტერიუმების სისტემა ამგვარია: გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, კონკრეტული საცხოვრებელი ფართის შეთავაზებისას, კრიტერიუმების საფუძველზე განისაზღვრება დევნილი ოჯახების საჭიროებების პრიორიტეტულობა. თითოეული კრიტერიუმი გარკვეული რაოდენობის ქულის ტოლია. საჭიროებების შეფასებისას, აღნიშნული ქულები ჯამდება და დევნილ ოჯახს, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს, ენიჭება პრიორიტეტი. კრიტერიუმების პრიორიტეტულობის დამთხვევის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება იმ დევნილ ოჯახს, რომელსაც ასევე მიესადაგება სხვა კრიტერიუმიც. გამონაკლის შემთხვევაში, პრიორიტეტთა/ქულების სრული დამთხვევის შემთხვევაში, დევნილი ოჯახების საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის დაკმაყოფილების რიგითობის დასადგენად უნდა ჩატარდეს კენჭისყრა.

პრიორიტეტების დასადგენად გამოიყენება ორი ტიპის კრიტერიუმი: 1. საცხოვრებელი ფართით სარგებლობის შესაძლებლობის შეფასების კრიტერიუმი; 2. სოციალური კრიტერიუმი.

აღსანიშნავია, რომ დადგენილი პროცედურების მიხედვით, საცხოვრებელი ფართების მისაღებად ოჯახების შეფასება და შესაბამისი პრიორიტეტების განსაზღვრა ხდება არა ზოგადად, დევნილთა იმ კონტინგენტიდან, რომლებიც საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებას საჭიროებენ, არამედ შერჩევა ხორციელდება კონკრეტული პროექტის ფარგლებში მიღებული განაცხადების ფარგლებში. კერძოდ, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროექტ(ების) შემუშავების შემდგომ, დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისია წინასწარ განსაზღვრავს იმ დევნილი ოჯახების კატეგორიას, რომელთაც შეეძლებათ აღნიშნული პროექტის ფარგლებში საცხოვრებელი ფართის მისაღებად განაცხადის შევსება. შესაბამისად, შევსებული განაცხადებიდან ხდება კრიტერიუმების მიხედვით იმ ოჯახების შერჩევა, რომლებიც კონკრეტული პროექტის ფარგლებში მიიღებნ საცხოვრებელ ფართს. ამასთან, არ არის განსაზღვრული ქულათა მინიმალური რაოდენობა, რომლის შემთხვევაშიც, შესაძლებელია, ოჯახს უარი ეთქვას ბინის გადაცემაზე. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ოჯახი დააგროვებს 1 ქულას და კონკრეტულ ობიექტზე გასანაწილებელი დარჩება საცხოვრებელი ფართები, აღნიშნულ ოჯახს აქვს უფლება, მიიღოს საცხოვრებელი ფართი.

კომისია ასევე უფლებამოსილია, პრიორიტეტი მიანიჭოს და მოცემული კრიტერიუმების გარეშე განაცხორციელოს:

- ნგრევად და სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართობში (დევნილთა ყოფილ კომპაქტურად განსახლების ობიექტში) მცხოვრები დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა. ამგვარი ობიექტების მდგომარეობა უნდა დასტურდებოდეს სამინისტროს ან კონკრეტული კომპაქტური განსახლების ობიექტში მაცხოვრებელი დევნილი ოჯახების დაკვეთით მომზადებული შესაბამისი საექსპერტო დასკვნით;
- კონკრეტული დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე;
- მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ იმ საცხოვრებელ ფართობში (ყოფილ დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში) მაცხოვრებელი დევნი-

ლი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, რომლებიც გადაუდებელი სახელმწიფო ინტერესის შემცველი ობიექტებია, რაც შესაბამისი სახელმწიფო უწყების მიერ წერილობით უნდა იყოს გამოხატული.

იმ დევნილ ოჯახებს, რომლებსაც, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, ერთხელ უკვე აქვთ მიღებული საცხოვრებელი ფართი ან/და ერთჯერადი ფულადი დაშმარება გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში, განაცხადების შევსებისა და დამატებითი საცხოვრებელი ფართის მიღების შესაძლებლობა არ აქვთ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წლის 27 ივნისის მდგომარეობით, აღნიშნული კრიტერიუმების საფუძველზე, საცხოვრებელი ფართით სულ დაკმაყოფილდა 1000-მდე ოჯახი. ამათგან:

- თბილისში საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდა 288 ოჯახი;
- იმერეთის რეგიონში – 397 ოჯახი;
- სამეგრელოში – 106 ოჯახი;
- ქვემო ქართლში – 121 ოჯახი;
- შიდა ქართლში – 57 ოჯახი.

კვლევის მიზნებისთვის შეირჩა სამი ობიექტი, სადაც დევნილთა განსახლება კრიტერიუმების საფუძველზე განხორციელდა. აღნიშნულ ობიექტებთან დაკავშირებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან გამოთხოვნილ იქნა დეტალური ინფორმაცია, რომლის დამუშავების შედეგად შესაძლებელი გახდა იმის ანალიზი, თუ რომელი კრიტერიუმები დომინირებდა საცხოვრებლით დაკმაყოფილების პროცესში.


#### 4.2. ბათუმი, ბენზეს დასახლება

ბათუმში, ბენზეს დასახლებაში 48 ბინის (36 ერთოთახიანი, 12 ოროთახიანი) გასანაწილებლად განაცხადების მიღება განხ-

ორციელდა სამ ეტაპად. თავდაპირველად, განაცხადების მიღება დაიწყო 2013 წლის 19 სექტემბრიდან და გაგრძელდა 2013 წლის 30 სექტემბრამდე. 2013 წლის 17 ნოემბერს კომისიამ იმსჯელა ფართების განაწილების საკითხზე და პირველ ეტაპზე საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდა 34 ოჯახი (განაწილდა 36 ბინა – ორ ოჯახს გადაეცა ორ-ორი ბინა სულადობის მიხედვით).

რაც შეეხება 12 ბინას, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მათი განაწილება მომხდარიყო მოკვლეული მასალების, ამასთან, დამატებით გამოცხადებულ ვადებში შეესრული განაცხადებისა და კითხვარების საფუძველზე მინიჭებული ქულების შესაბამისად. 2013 წლის 17 დეკემბერს კომისიამ იმსჯელა დარჩენილი 12 ბინის განაწილების საკითხზე, თუმცა, ყველა ბინა არც ამ შემთხვევაში განაწილებულა. 4 ბინის განაწილების თაობაზე განაცხადების მიღება დამატებით 2014 წლის იანვარში, მარტსა და აპრილში განხორციელდა. საბოლოოდ, ბენზეს დასახლებაში საცხოვრებელი ფართი მიიღო 45-მა ოჯახმა. მაქსიმალური ქულა შეადგენდა 10-ს ხოლო მინიმალური – 4-ს. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, კონკრეტულად რომელი კრიტერიუმების მიხედვით შეძლეს ბენზეს დასახლებაში საცხოვრებლის მიღება დევნილმა ოჯახებმა.<sup>27</sup>


### საცხოვრებლის კრიტერიუმები



<sup>27</sup> კრიტერიუმების და შესაბამისი ქულების შესახებ დეტალურად იხილეთ დანართი #1;

## სოციალური კრიტერიუმები

■ რაოდენობა




### 4.3. ყვარლის ქ. №101


პირველი ობიექტი, რომელიც კრიტერიუმების შესაბამისად თბილისში განაწილდა, იყო ყვარლის ქ.№101-ში მდებარე ყოფილი სკოლის შენობა. აღნიშნულ ობიექტში გასანაწილებელი ბინების რაოდენობა შეადგენდა 85-ს (31 – ერთოთახიანი, 44 – ოროთახიანი, 10 – სამოთახიანი). შევსებული განაცხადების რაოდენობამ შეადგინა 1476. აღსანიშნავია, რომ ხსენებულ ობიექტზე, კომისიის გადაწყვეტილებით, კრიტერიუმების გარეშე საცხოვრებელი ფართი მიიღო 20-მა ოჯახმა (ნგრევადი ობიექტებიდან და საგარანტიო წერილების საფუძველზე). შესაბამისად, კრიტერიუმების მიხედვით განაწილდა 65 ბინა. ქულების მაქსიმალურმა რაოდენობამ შეადგინა 13, ხოლო მინიმალურმა – 7.5.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, კონკრეტულად რომელი კრიტერიუმების მიხედვით შეძლეს ყვარლის ქ.№101-ში საცხოვრებლის მიღება დევნილმა ოჯახებმა.

## საცხოვრებლის კრიტერიუმები



## სოციალური კრიტერიუმები





### 4.4. გლდანი მე-3 მ/რ. „პოლიციის ყოფილი შენობა“



გლდანში, პოლიციის ყოფილ შენობაში საცხოვრებელი ფართების განაწილება განხორციელდა 2014 წლის აპრილში. სულ გასანაწილებელი ბინების რაოდენობა შეადგენდა 14 ბინას. აღნიშნულ ობიექტზე მაქსიმალური ქულა შეადგენდა 11-ს, ხოლო მინიმალური – 8-ს.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, კონკრეტულად რომელი კრიტერიუმების მიხედვით

შეძლეს პოლიციის ყოფილ შენობაში საცხოვრებლის მიღება დევნილმა ოჯახებმა.



4.5. შესწავლილი ობიექტების შედეგების ჯამური ანალიზი



კულტურის ფარგლებში შესწავლით სამ ობიექტზე, ჯამში, კრიტერიუმების მიხედვით, დაკმაყოფილდა 124 ოჯახი. ამათგან, მხოლოდ 54 ოჯახს ჰქონდა მიღებული ქულები საცხოვრებლის კრიტერიუმების მიხედვით, დანარჩენ შემთხვევაში, საცხოვრებელი ფართები განანილდა მხოლოდ სოციალური კრიტერიუმების მიხედვით დაგროვებული ქულების საფუძველზე. მათ შორის დომინირებდა „დაბალი შემოსავალი“ და „სოციალური

მაჩვენებელი“. ასევე აღმოჩნდა, რომ უმრავლეს შემთხვევაში, როდესაც ოჯახს ენიჭება ქულა „დაბალი შემოსავლის“ კრიტერიუმით, იგი ასევე აგროვებს ქულებს „სოციალური მაჩვენებლის“ კრიტერიუმით, რაც ზრდის იმის ალბათობას, რომ საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდეს ის ოჯახი, რომელიც ქულას ამ ორი კრიტერიუმით აგროვებს. სამი ობიექტის შედეგები გვაფიქრებინებს, რომ საცხოვრებლის კრიტერიუმების საფუძველზე მიღების მეტი შანსი სწორედ იმ ოჯახებს აქვთ, რომლებიც სოციალური კრიტერიუმების საფუძველზე აგროვებენ ქულებს, რაც აჩენს კითხვებს, რამდენად უზრუნველყოფს კრიტერიუმები საცხოვრებლის საჭიროების გათვალისწინებას ბინების განაწილების პროცესში.<sup>28</sup>

#### 4.6. ქირა, როგორც კრიტერიუმი

საცილეური კრიტერიუმის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს დაბალი შემოსავალი. აღნიშნული კრიტერიუმის მიხედვით, იმ შემთხვევაში, როდესაც ოჯახის შემოსავლების ჯამი ოჯახის წევრთა რაოდენობის გათვალისწინებით დადგენილი საარსებო მინიმუმის ნახევარზე ნაკლებია, ოჯახს ენიჭება 2 ქულა; თუ ოჯახის შემოსავლების ჯამი ოჯახის წევრთა რაოდენობის გათვალისწინებით დადგენილი საარსებო მინიმუმის ნახევარზე მეტია ან უფროლდება მას – 1.5 ქულა; თუ ოჯახის შემოსავლების ჯამი ოჯახის წევრთა რაოდენობის გათვალისწინებით დადგენილ საარსებო მინიმუმს აღემატება შესაბამისი საარსებო მინიმუმის ნახევარი ოდენობით – 1 ქულა. „ამასთან, თუ დევნილი ოჯახი იხდის საცხოვრებელი ფართისათვის საჭირო ქირას, ზემოაღნიშნულ ქულას იმატება დამატებით 1 ქულა“.<sup>29</sup>

შესაბამისად, თუ პირი იხდის ქირას, მას შეიძლება ქულა მიენიჭოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმავდროულად აქმაყოფილებს დაბალი შემოსავლის კრიტერიუმს. მიუხედავად ამისა, ჩვენ მიერ შესწავლით სამი ობიექტის შემთხვევაში, ქირა, როგორც კრიტერიუმი, დამოუკიდებლად იყო გამოყენებული 15-ზე მეტ შემთხვევაში, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ კომისიის მხრიდან არასწორად მოხდა ბრძანების ინტერპრეტირება. მართალია, ქირას, როგორც კრიტერიუმს, დაბალი ქულა ენიჭება (1 ქულა), თუმცა,

<sup>28</sup> იგულისხმება 2014 წლის სექტემბრისათვის მოქმედი რეგულაციები;

<sup>29</sup> „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადასადგილებულ პროცეს, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №320, დანართი #5, ძრუნა „ა.ა.“ (2014 წლის 1 ოქტომბრის მდგრადულობით);

იმ პირობებში, როდესაც საცხოვრებელი ფართის მისაღებად შეიძლება 0.5 ქულაც კი გადამწყვეტი იყოს, მნიშვნელოვანია, კომისია ზედმინევნით ზუსტად იცავდეს დადგენილ კრიტიკუმებს.

#### 4.7. რეგისტრაციის ადგილი, როგორც კრიტიკუმი

2013 წლის ოქტომბერში №320 ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ქ. თბილისში რეგისტრირებული დევნილი გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართის მიღებაზე განაცხადს შეავსებს სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულ(ებ)ში (გარდა თბილისისა), მას დამატებით მიენიჭება 2 ქულა.

დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს კონკრეტული დევნილი ოჯახისათვის იმგვარი შეთავაზების გაკეთებას, რომელიც მას შესაძლებლობას მისცემს, გრძელვადიანი საცხოვრებლით დაკმაყოფილდეს ისეთ ადგილას, სადაც მას უკვე აქვს სოციალური კავშირები და შემოსავლის წყაროები. აღნიშნულ პრინციპთან წინააღმდეგობაში მოდის სახელმწიფოს მიდგომა, წაახალისოს დევნილი, ინტეგრირებული გარემოდან საცხოვრებლად წავიდეს მისთვის უცხო, არაინტეგრირებულ ადგილას. ამასთან, ამგვარი მიდგომა არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს რეგიონში მცხოვრებ დევნილებს, რომლებმაც შესაძლოა ადგილობრივ განსახლებაზე უარი მიიღონ მხოლოდ იმის გამო, რომ თბილისში რეგისტრირებული ოჯახი, რეგისტრაციის ადგილის საფუძვლით, მისგან განსხვავებით დამატებით 2 ქულას მიიღებს.

#### 4.8. გასაჩივრების მექანიზმები

არსებული რეგულაციების თანახმად, „შესაბამისი გადაწყვეტილება საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მიიღება კომისიის მიერ და ფორმდება კომისიის სხდომის ოქმის სახით. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ (დადებითი/უარყოფითი) ეცნობება დევნილ ოჯახს წერილობით, რომელიც შესაძლებელია გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.“<sup>30</sup>

<sup>30</sup> „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტილვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №320, მე-3 მუხლი, მე-12 პუნქტი;

მიუხედავად იმისა, რომ გასაჩივრების მექანიზმი მოცემულია „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესში“, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, როგორც წესი, არ ახდენს საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მიღებული წერილობითი გადაწყვეტილების დროულად გაგზავნას ადრესატ დევნილ ოჯახებთან, ან წერილობით გადაწყვეტილებას დევნილ ოჯახს გადასცემს მხოლოდ დევნილი ოჯახის მოთხოვნის შემთხვევაში. აღსანიშნავია ისიც, რომ წერილობით გადაწყვეტილებებში არ ხდება გასაჩივრების მექანიზმებზე მითითება, მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, მის მიერ გამოცემულ წერილობით ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მიუთითოს გასაჩივრების პროცედურები.<sup>31</sup> სამინისტროს ამგვარი ქმედებების მასშტაბური ხასიათი აჩენს საფუძვლიან ვარაუდს, რომ იგი შეგნებულად არღვევს აღნიშნულ პროცედურებს, რათა შეამციროს მისივე გადაწყვეტილებების გასაჩივრების ალბათობა.

სამინისტროს მიერ არჩეული ეს არასწორი პრაქტიკა, მნიშვნელოვან დაბრკოლებებს უქმნის დევნილებს პროცედურული უფლების (გასაჩივრების გზით დაიცვან და აღიდგინონ უფლებები) რეალიზებისას, რაც ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ყოვლად მიუღებელია.

## შეაჯამებელი დასკვნა და რეკომენდაციები

მიუხედავად იმისა, რომ დევნილთა საცხოვრებლით დაკმაყოფილების მიმართულებით ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, დევნილთა საცხოვრებლით დაკმაყოფილების საკითხი ერთ-ერთი მთავარ გამოწვევად რჩება. დადგებითად უნდა შეფასდეს სახელმწიფოს ძალისხმევა, შექმნას ამ მიმართულებით სამართლებრივი მექანიზმები, რაც შესაძლებელს გახდის სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროცესის გამჭვირვალედ წარმართვას. თუმცა, კვლევაში განხილული საკითხების ანალიზმა აჩვენა, რომ სხვადასხვა მიმართულებით არსებული ხარებზები აღნიშნული პროცესის შემაფერხებლად გვევლინება. ამიტომ, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გადადგას შესაბამისი ნაბიჯები არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.

<sup>31</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 52-ე მუხლი, მე-2 ნაწილი;

კვლევაში იდენტიფიცირებული პრობლემების მოსაგვარებლად, საია საქართველოს ოუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობას რეკომენდაციით მიმართავს:

#### პრივატიზაციის მიმართულებით:

- უზრუნველყოფილი იყოს პრივატიზაციის დაქვემდებარებულ ობიექტებში მცხოვრები დევნილების დროული ინფორმირება პრივატიზაციის პროცესის, მისი შედეგების და სხვა აღტერნატივების შესახებ;
- გაძლიერდეს პრივატიზაციის პროცესში ჩართული უწყებების კოორდინირებული მუშაობა, რათა დაჩქარდეს პრივატიზაციის პროცესი;
- შეიქმნას კომისია, რომლის ფარგლებში მოხდება პრივატიზაციის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების გაანალიზება და დადგინდება, პრივატიზაციის შედეგად რამდენმა დევნილმა ოჯახმა მიიღო საკუთრებაში საოთანადო საცხოვრებლის სტანდარტებთან შეუსაბამო ბინა; შემუშავდება წინადადებები, მომავალში რა მექანიზმების გამოყენებით იქნება შესაძლებელი არსებული ხარვეზების აღმოფხვრა.

#### საცხოვრებლით დაკმაყოფილების წესთან დაკავშირებით:

- არსებული გამოცდილების გაანალიზების საფუძველზე, გადაიხედოს კრიტერიუმების შინაარსი და ქულათა სისტემა;
- სამინისტრომ შეასრულოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები – წერილობითი გადაწყვეტილებების ადრესატ დევნილებთან გაგზავნის და გასაჩივრების მექანიზმების განმარტებასთან დაკავშირებით;
- დაზუსტდეს იმ დევნილი ოჯახების რიცხვი, რომელთაც საკუთარი სახსრებით შეძენილი აქვთ საცხოვრებელი ფართი. შემუშავდეს გეგმა, მომავალში რა ტიპის ლონისძიებები შეიძლება შესთავაზოს მათ სახელმწიფომ;
- სამინისტრომ წარმოადგინოს წინადადებები, რეგისტრაციის პროცესის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, რა აღტერნატიული განსახლების ლონისძიებების შეთავაზებაა შესაძლებელი დევნილთავის.

## დანართი №1

№	საცხოვრებელი ფართით სარგებლობის შესაძლებლობის შეფასების კრიტერიუმი	ქულა
ა	იმ ობიექტებში მაცხოვრებელი დევნილები, რომელი შენობებიც წარმოადგენს კერძო საკუთრებას და მესაკუთრე ახორციელებს დევნილთაგან ობიექტის გამოთავისუფლების კანონით გათვალისწინებულ პროცედურას.	3
ბ	საცხოვრებელი პირობები არის განსაკუთრებით მძიმე და რადიკალურად არ შეესაბამება მინიმალურ საცხოვრებელ პირობებს (დევნილი ოჯახი ცხოვრობს ავტოფარეხში, შენობის კიბის უჯრედში, საყარაულო ჯიხურში, თვითნაკეთებ ხის/ფიცრულ შენობაში, მიწურში და სხვა).	3
გ	მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართში (ყოფილი დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში) მაცხოვრებელი დევნილები, რომელი შენობებიც, სახელმწიფო ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ინტერესებიდან გამომდინარე, წარმოადგენს მნიშვნელოვან ობიექტებს; აღნიშნული ინტერესი ერთმნიშვნელოვნად და საჯაროდ უნდა იყოს გამოხატული თვითმმართველობის (თუ ისინი არიან მესაკუთრეები) ან სხვა საჯარო უწყების მიერ, რომელიც ფლობს აღნიშნულ შენობას.	2
დ	ოჯახის საცხოვრებლის სტაბილურობა. ამჟამინდელ საცხოვრებელში ყოფნის ხანგრძლივობა არის 1 წელზე ნაკლები და ბოლო 5 წლის განმავლობაში ოჯახმა 2-ზე მეტჯერ შეიცვალა საცხოვრებელი.	1

№	სოციალური კრიტერიუმი	ქულა
ა	<p><b>ა.ა) დაბალი შემოსავალი</b>          თუ ოჯახის შემოსავლების ჯამი ოჯახის წევრთა რაოდენობის გათვალისწინებით დადგენილი საარსებო მინიმუმის ნახევარზე ნაკლებია, ოჯახს ენიჭება 2 ქულა, თუ ოჯახის შემოსავლების ჯამი ოჯახის წევრთა რაოდენობის გათვალისწინებით დადგენილი საარსებო მინიმუმის ნახევარზე მეტია ან უტოლდება მას - 1.5 ქულა, თუ ოჯახის შემოსავლების ჯამი ოჯახის წევრთა რაოდენობის გათვალისწინებით დადგენილ საარსებო მინიმუმს აღემატება შესაბამისი საარსებო მინიმუმის ნახევარი რდენობით - 1 ქულა.</p> <p>ამასთან, თუ დევნილი ოჯახი იხდის საცხოვრებელი ფართისათვის საჭირო ქირას, ზემოაღნიშნულ ქულას ემატება დამატებით 1 ქულა.</p> <p><b>ა.ბ) სოციალურ პროგრამაში მონაწილეობა</b>          თუ ოჯახი დარეგისტრირებულია სილარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, ენიჭება:          57001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულით - ქულა 3          57001-70000 შორის სარეიტინგო ქულით - ქულა 2          70000-100 000 შორის სარეიტინგო ქულით - ქულა 1            ქულების დაანგარიშებისას, ჯამდება ა.ა) და ა.ბ) პუნქტებში მითითებული ქულები.</p>	1-6
ბ	ოჯახში არის 3 და მეტი 18 წლიზე დაბალი ასაკის ოჯახის წევრი. 3 არასრულწლოვანზე - ერთი ქულა, ყოველ დამატებითზე - 0,5 ქულა	შესაბამისი ქულათა ჯამი
გ	მძიმედ დაავადებული ოჯახის წევრი/წევრები. მუდმივად მწოლიარე (3 ქულა), უჭირს დამოუკიდებლად გადაადგილება (1 ქულა), ფსიქიკური აძლილობა (2 ქულა). უნდა არსებობდეს ექიმის დასკვნა. ონკოლოგიური ავადმყოფი, რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი სამედიცინო დასკვნით (ფორმა №50/2) (1 ქულა).	შესაბამისი ქულათა ჯამი

დ	ოჯახის წევრი ან წევრები არიან მკვეთრად (3 ქულა), მნიშვნელოვნად (2 ქულა) ან ზომიერად გამოხატული შესაძლებლობის (1 ქულა) შეზღუდვის მქონე პირები (ჯანმრთელობის მოშლით გამოწვეული ადამიანის საქმიანობის ნორმიდან გადახრა, რაც ხასიათდება თვითმომსახურების, გადაადგილების, ორიენტაციის, ურთიერთობის, თვითკონტროლის, სწავლისა და შრომითი საქმიანობის უნარის შეზღუდვით), რაც დასტურდება შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტით (სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემონმების აქტის ამონანერო) (თითოეული ამ სტატუსის მქონე ოჯახის წევრზე ენიჭება შესაბამისი ქულა).	შესაბამისი ქულათა ჯამი
ვ	მშობელი ან ქვრივი, რომელიც იძულებულია, მარტომ იზრუნოს მცირენლოვან შვილზე ან შვილებზე.	2
ვ	ხანდაზმულ(ებ)ი, რომელიც ახორციელებს მეურვეობას ან მზრუნველობას არასრულ-ნლოვანი შვილ(ებ)ის ან შვილიშვილ(ებ)ის მიმართ კანონმდებლობის შესაბამისად.	1
ზ	პენსიონერი, რომელიც ცხოვრობს მარტო და ოჯახი, რომელიც შედგება ხანდაზმული წევრებისგან. ოჯახი შედგება მხოლოდ, ან ძირითადად (ნახევარზე მეტი), საპენსიო ასაკს მიღწეული პირებისაგან.	1
თ	ოჯახი, რომლის წევრი ან წევრები გარდაიცვალნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში (თითოეულ გარდაცვლილ ოჯახის წევრზე 1,5 ქულა).	შესაბამისი ქულათა ჯამი
ი	ოჯახი, რომლის წევრი ან წევრები არიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებული ომის ვეტერანი/ვეტერანები (თითოეულ ომის მონაწილეზე 1 ქულა).	შესაბამისი ქულათა ჯამი

**შენიშვნა:** იმ შემთხვევაში, თუ პირი ერთობლივად აკმაყოფილებს ამ დანართის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ რამდენიმე კრიტერიუმს, მაშინ მას ქულა ენიჭება იმ კრიტერიუმით, რომელიც ითვალისწინებს უფრო მაღალ ქულას.

## დანართი №2

2014/225.14  
29.08.14

6n 6

საქართველოს რესპუბლიკური თარიღობის გადაცემის  
მიზნისთვის გადამდგრადი გარემონტის  
სამსახურისა და ლიკიდაციის სამინისტრო



MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS  
FROM THE OCCUPIED TERRITORIES,  
ACCOMMODATION AND REFUGEES OF GEORGIA

0177, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. 15<sup>ა</sup>  
15<sup>ა</sup>, Tamarashvili str., 0177, Tbilisi, Georgia

ტელ./Tel.: (995 32) 31-15-85  
ცენტრული სახლის Hotline: (995 32) 43-11-00  
ფაქს/Fax: (995 32) 31-15-96

[www.mra.gov.ge](http://www.mra.gov.ge)

N 06-06/20808  
26/08/2014

20808-06-06-2-201408261825



საქართველოს ააალაზრდა იურისტულა საკუთარის  
აღმოსარებლების დარეკტორის  
ქალბატონ თამარ გვარამაძეს

ქალბატონ თამარ,

- საქართველო 2014 წლის 19 აგვისტოს შემოსული თქვენი #გ-04/426-14 წერილის პასუხად,  
გაცემის შემდეგ:
- დღის ს მდგრადი დეკონსილა მომაცემთა გაზირ რეგისტრირებულ, აქტიური დაცვილის  
სტანდარტის მქონე მიზანისას, საცხოვრისებრ ფარით დაკავშირებულა 23 420 ოჯახი, ზოლი  
უკალდა დამარტინით, ეწ., „კომენტაციით“ - 5 108 ოჯახი;
  2. მას შემდეგ ინური მიმღების დამტენებულების მიზანის შესახებ, თუ რამდენი ოჯახი იყო  
რეგისტრირებული უწ., „კომენტაციით“ იმ დაცვილთავაშ, რომელიც დამცავილდება  
გრძელებითი საცხოვრისებლივ, ან ანი შესაძლებელი;
  3. მომცველის მინიცემისა ბაზში არ მოიცემოდა ინტერვიუ იმის შესახებ, თუ რამდენ იჯდას აქვს  
საცხოვრისებლი საცხოვრისებლი ფარით ეწ., აქტის სკეტჩის რეგისტრირებულ დაცვილთავაშ;
  4. 2013 წლის სამინისტროს მიერ კური მესაჟის დაკავებულ საცხოვრისებლის გამოსაზღვრულ მიერკონტაქტობის მიზანის დაკავებულ საცხოვრისებლი ფარით. ან ესაზე  
მიღწინორის საცხოვრისებლი ფარითმის საცხოვრისებლი რეგისტრირების პრიცესი, როგორია  
დასრულების შედეგამ გამოირცილდება ზემოაღნიშნული უპრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა.

პატივისცემით

J. J.

ჭრისა და გადაცემის

მინისტრის პირველი მოადგილი

ხელმძღვანელობა